

№5
2011

644
2011

სსსს

ქართული
სივცუიუტუმიტი
ჭუბნალი

იოსებ გრიშაშვილი
აკრძალული ლექსები

•
ჯანსუღ ჩარკვიანი
ბათუ დანელია
თორმეტი რჩეული ლექსი

•
გურამ დოჩანაშვილი
ახალი რომანი

•
სერგი კაკალაშვილი
პიესა – „მითრიდატე
პონტოელი“

•
ნოდარ გრიგალაშვილი
საგაზეთო ვენდეტა

•
მთიელთა გენოციდი
მწერლის თვალით

•
ჩეკას პირველი
თავმჯდომარის
მოგონებები

•
ის, რაც არასოდეს
დაბეჭდილა

•
ასი სამარცხვინო ლექსი



სყტგი კაკალაშვილი

ვუძღვნი ჩემი ჯორჯის ხსოვნას

მითრილატე პონტოელი

ტრაპეზია
 ორ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

მითრილატე – პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი

ჭურჭი – მითრიდატეს გამზრდელი, მრჩეველი,
 ფილოსოფოსი, ღვთისმსახური

ქახაბერი – მითრიდატეს სიყრმის მეგობარი, პირადი მცველი

ლაოლიკე – მითრიდატეს დედა

ლუციუს სულა – რომაელი მხედართმთავარი

ციხისთავი გიგია

მითრილატეს მსახურები, ზარეზები, მმომრები

ლაოლიკეს მსახურები, ზარეზები, მმომრები

პირველი მოქმედება

პირველი სურათი

მოქმედების ადგილი ქალაქი სინოპი. პონტოს სამეფო. სცენაზე სასახლე. სვეტებიანი დიდი დარბაზი. დიდებულები, ჯარისკაცები, მსახურები. ფუსფუსია, ხმაური შემოდის გარედანაც.

ისმის მაცნეს ყვირილი:

– მეფე მოკლეს!!!

– პონტოს მეფე მითრიდატე V ევერგერტი მოკლეს!

(სიღრმიდან შემოდის დედოფალი ლაოლიკე ორ მსახურთან ერთად. მავიდებს, სკივრებს ათვალიერებენ – რალაცას ეძებენ).

პირველი მსახური – დედოფალი, მომისმინეთ, გემუდარებით, ახლა თქვენი ტახტზე აპრძანების დროა, თორემ მერე შეიძლება გვიან იყოს.

ღრამატურბი

ლაოღიქი - როგორ ბედე ასე ლაპარაკს, თანაც ჩემი თანდასწრებით. გიკრძალავ, გესმის? რატომ იგვიანებენ რომაელები?!

პირველი მსახური - სულ მალე აქ იქნებიან, დედოფალო.

ლაოღიქი - ეძებთ, უნდა ვიპოვოთ!

პირველი მსახური - დედოფალო, ნუხელ საშინელი სიზმარი ვნახე: თითქოსდა აღმოსავლეთიდან, ამომავალი მზის მთებიდან მოფრინდა უზარმაზარი არწივი, მასთან ერთად შეეარღენი და ბუ...

ლაოღიქი - *(განწყვეტინებს)* წყალს მოუყვიე! რა დროს სიზმარია ახლა?!

სად არიან რომაელები?

ხმა თუ გავრცელდა, ყველა ერთად დავილუპებით. არავის გქონდეთ დანდობის იმედი. იცოდეთ, დედაბუდიანად ამოგვბუგავენ ყველას!

მაინც რა იქნენ ეს რომაელები?

ეძებთ ანდერძი, ცოცხალი მკვდრებო, ეძებთ!

მეორე მსახური - დედოფალო, მგონი ვიპოვე, ეს ხომ არ არის?

ლაოღიქი - მაჩვენე... *(გრავნილს გამოართმევს. კითხულობს)*. ეს არის, ყოჩაღ! ახლა კი შეკრიბეთ ყველა. ყველა, რათა ვაუწყო ამ ანდერძის ჭეშმარიტე შინაარსი. სასწრაფოდ დანვით ეს ბარბაროსების ბატისფეხური! *(გრავნილს მსახურს მიანდის)*. აღსრულდა, ტახტი ჩემია!

(მემოდის პატარა მითრიდატე, 11 წლისა).

მითრიდატი - დედა, დედიკო, მამა სად არის? რა დეემართა, რა მოხდა?! რატომ ტირიან ჩემი და-ძმანი? დედიკო, დედა! *(მორბის დედისკენ. ჩახუტება)*.

ლაოღიქი - *(ცივად იშორებს თავიდან)*. რას იზამ, შვილო. კარგია, რომ ტირიან, ესე იგი ჰყვარებათ. ყველამ უნდა ვიტყვიოთ ჩვენი მეფე!

მითრიდატი - სად არის მამა? ხომ შემპირდა ცხენს გაჩუქებო, ჩემს ცხენსო, და სანადიროდაც ნაგიყვანო...

ლაოღიქი - ნაგიყვანს, შვილო, ნაგიყვანს. მამა სადაც წავა, შენც აუცილებლად თან ნაგიყვანს.

მითრიდატი - *(გარბის სიღრმეში და ყვირის)* მამა! მამიკო! *(ვადის)*.

ლაოღიქი - *(მიმართავს მხლებლებს)* ეცადეთ, ჩემი ოჯახის ტრაველიის თანამოზიარედ გეჭიროთ თავი. იგლოვეთ, ორივეს კარგად დაგასაჩუქრებთ, როდესაც იმ უსაზიზღრეს გვამს ამ სატულველ მინას მივაბარებთ და ყველაფერი მიწყნარდება. ახლა კი მკურნალი მომიყვანეთ სასწრაფოდ, - მან უნდა შეატყობინოს ერსა და ბერს მეფის სიკვდილის მიზეზი, ოღონდ გააფრთხილეთ, როგორც დეარტივეთ, ისე ილაპარაკოს - ასისთავს და პირად მცველს უნდა დაბრალდეს მეფის სიკვდილი. გასაგებია?

მეორე მსახური - კოლხი ლაზო?! ვინ დაიჯერებს, დედოფალო?

ლაოღიქი - ვისაც სიცოცხლე სურს! ვაი მას, ვინც არ დაიჯერებს! ეგ კუნთებიანი ვიგინდარადიდი ხანია მალიზიანებს თავისი მონური ერთგულებით. ჩამომაცილეთ!

მეორე მსახური - ყოველივე ისე იქნება, როგორც თქვენ ბრძანებთ, დედოფალო!

ლაოღიქი - ბრბო იმას ჩაყლაპავს, რასაც პირში ჩავუდებთ. აბა, ჭკუით იყავით და საქმეს მიხედეთ! მე კი ჩემს ატირებულ ტახტის მემკვიდრეებს უნდა მივხედო - დღეს ამ საცოდავებს მამა მოუკლეს. ვინ დაამწყვდევს, ვინ ანუგეშებს მათ დედაზე უკეთ?! ვაი შვილებს, რომელთაც დედაც და ღმერთიც ერთდროულად გაუწყრებათ, ვაი შვილებს!

(ვადის სიღრმეში. მხლებლებიც აქეთ-იქით გაიფანტებიან. სცენაზე წინიდან ამოდის მითრიდატის აღმზრდელი, ახალგაზრდა ქურუმი. ამოჰყავს მითრიდატე, სიღრმიდან მორბის მსახური).

ქურუმი - წამოდი, შვილო, იჩქარე!

მითრიდატი - სად მივდივართ, მანდეთ არ მინდა. მამასთან მინდა!

ქურუმი - მამაშენმა მოხოვა, ჩემო პატარავ, რომ აი იმ კაცმა მასთან, ტყეში მიგიყვანოს სანადიროდ.

მითრიდატი - სანადიროდ? ცხენზე შემეცამს?

ქურუმი - ჰო, სანადიროდ ცხენზე - აუცილებლად... *(შეხედება მოსულს, ანიშნებს ბავშვზე)*. ესლა გადარჩა მემკვიდრეთაგან. მცხეთას ნაიყვან, იბერიასი, ისე, რომ ვერა სულდგმულმა ვერ

გაიგოს თქვენი ასავალ-დასავალი. კვლიც კი უნდა გაქრეს თქვენი, რომ მდევარი ვერ ნამოხნიოს უფლისწულს. სასახლის კარზე მიიყვან და ამ გრაგნილს გადასცემ მეფე არსოკს. სასწრაფოდ – კავკასიაში. გასაგებია?

მსახური – გასაგებია.

ქარში – ეს ნერილი კი კოლხეთში, პეტრას ციხეში გამოგადგებათ *(გაუნდის მეორე გრაგნილს)*, იქ უკვე სამშვიდობო იქნები. ჩემი ლაზი ძმადნაფცი გადაგიყვანთ გოდერძის უღელტეხილზე და იბერიაც იქვეა.

აილე ეს ქისა... *(ქისას გადაუვადებს)*. გინდა, გასამრჯელოდ ჩათვალი, გინდა – ძნელი გზის თადარიგად. ვიცი, შენც როგორ გიყვარდა ჩვენი მეფე, ბევრი სიკეთე გახსოვს მისგან და, თუ გინდა, რომ მისი მოდგმა გადარჩეს, ამ ყმანვილს საკუთარ თვალის ჩინზე მეტად უნდა გაუფრთხილდე.

(მიუბრუნდება მითრიდატს). ამ კაცს ნაყვი, ჩემო პატარა უფლისწულო, მხნედ იყავ. მეც მალე მოვალ შენთან, ხომ იცი, რომ არ მიგატოვებ.

მსახური – უნდა ვიჩქაროთ, მდევარს დაგვადევნებენ!

ქარში – აბა, შენ იცი!. დავალებას რომ შეასრულებ, ჩემს ნახვას ნუ შეეცდები. მე თვითონ მოგძებნი. გზა მშვიდობისა!

მსახური – მშვიდობა ნუ მოგვიშალოს ღმერთმა! ვფიცავ ჩვენი მეფის ღირსულ სახელს, ამ დავალებას პირნათლად შევასრულებ, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დამიჯდეს! ღვთის გზა!

ქარში – ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

(მიუბრუნდება მითრიდატს, თავზე დაადებს ხელს). უფალი გფარავდეს, უფლისწულო! ნუ გაბოროტდები, შვილო! ნუ გაბოროტდები და გაიმარჯვებ! გიყვარდეს ყველა! რამეთუ შენი სიყვარული შენს მტერს ასუსტებს, შენს მოყვარეს კი აძლიერებს და ამით შენ უძლეველს გყოფს! *(მსახური და პატარა მითრიდატე გადიან. ქურუმი მარტო რჩება სცენაზე)*.

(მონოლოგი)

ვინ იცის, რა შედეგს მოიტანს ჩემი დღევანდელი ნამოქმედარი!.. მონშა მაღალი ღმერთი, მეტი და უკეთესი მე არა შემეძლო-რა. სჯობს იბერიაში, უფლისციხეში გაიზარდოს უფლისწული. გავადრო და ბედისწერა თვითონ დააყენებს მის მიერ გასავლელ გზაზე.

უფლისციხეა ივერთა მოდგმის ცათაგან კურთხეული კერა, სულიერი წყარო – მკვებავი და მასაზრდოველი. უფლისციხეშია იბერიელთა მინიერი ზედაშე. უფლისციხეში ასვენია ცხელი გული დიდი იბერიისა. იქ, უზენაესი ღმერთის მარადიულ ტაძარში, დგას სამყაროს დედაბოძი და ასვენია სანშისი სანუკვარი – გრაალი ხელთუქმნელი, რომელშიც ანთია მარადიული და ჩაუქრობელი წმინდა ცეცხლი სამყაროს ორსახოვნებისა: კაცობრიობის გონიერებისა და უგუნურობისა, სიკეთისა და ბოროტებისა, სინათლისა და წყვიადისა, სიყვარულისა და სიძულვილისა. ეს ცეცხლი ათბობს და აცოცხლებს ყოველივეს და იგივე ცეცხლი წვავს და ანადგურებს ყოველივეს...

დე, შეიგნოს და შეიმეცნოს პატარა მითრიდატემ ყოველივე ეს. დე, შეისისხლხორცოს ბრძენ პაპათა იდეა ყოველთა ივერთა ერთობისა. მერე... მერე ვნახოთ! განგების ნებაა ყველაფერი, კურთხეულ იყოს მისი სახელი!

(შემოდის დედოფლის მსახური).

მსახური – აქ რას ბუტბუტებ შენთვის, ქურუმო? რამე ცუდს ხომ არ გვამცნობენ შენი ღმერთები?

(შემოდის ლაოდიკე ისე, რომ ქურუმი მას ვერ ამჩნევს).

ქარში – ღმერთებმა მამცნეს, რომ ყველაფერი ერთ დროს მთავრდება და ამავე დროს იწყება ყველაფერი.

ლაოდიკე – ვისთვის მთავრდება, ქურუმო, და ვისთვის იწყება?!

ქარში – ცა ამ კითხვაზე ჯერჯერობით სდუმს, დედოფალო.

ლაოდიკე – სთხოვე, ძალიანაც ნუ დაგიგვიანებს პასუხს.

მსახური – მიბრძანეთ და ახლავე ჩამოვუბნელებ მაგ ცას, დედოფალო.

ლაოდიკე – *(მსახურს, შეჩერდით, ანიშნებს)*. ქურუმო, ჩემი ან განსვენებული მეუღლე და მეფე-ბატონი დიდად კმაყოფილი იყო შენი სამსახურით. რა ვქნათ, განგების ბედისწერას წინ ვერ

აღუდგებით ადამიანები, ცხოვრება გრძელდება... სწორად მოიქეცი, მემსახურე და მოიგებ. ხომ ხედავ, რა მძიმე ტვირთი დამანვა მხრებზე უმწურო დედაკაცს! შენს ფილოსოფიასთან ერთად შენი პოეზიაც დაამშვენებდა ჩემი სასახლის კარს – კაცის ყურს სიამოვნებს ლამაზი სიტყვა.

ქურში – პატივი მაქვს, გემსახუროთ, დედოფალო!

„უკეთესია, მოიქეცე სწორად და ნააგო, ვიდრე მოიქეცე არასწორად და მოიგო“ – ანდრეაძე დაუგდია ჩვენთვის ჩვენს ბრძენ წინაპარს, ამიტომ...

ლაქციანი – ნუთუ შემომგნება? „ჩვენს ბერძენ წინაპარს?“

ქურში – ბერძენთა სიბრძნესა და განსწავლულობაში ეჭვის შეტანა ნიშნია უფუნურობისა, თუმცა კაცთა მოდგმის მოაზროვნე ნაწილს მაინც მართებს, ახსოვდეს თუ სად იღებს სათავეს ბერძენთა სიბრძნის წყარო... ქუშმარტივების მაძიებელმა ჯერ წყაროსთვალა უნდა ეძიოს! რაც შეეხება პოეზიას... პოეზია ამბოხია სიმახინჯის წინააღმდეგ და თქვენს მშვენიერებას შესაძკობად, გარწმუნებთ, ის არ სჭირდება. ლამაზი სიტყვა ყურს კი სიამოვნებს, მაგრამ გონებას ყოველთვის არა.

(ქურში მდებლად უკრავს თავს და გადის).

ლაქციანი – *(მსახურს)* თვალი არ მოაშორეთ, არ დაიჯერება მისი მოწინების! არავინ არ უნდა იბოგინოს, ვინც იტყვებს, მეფე კოხს ლაზოს არ მოუკლავსო. ტახტის მემკვიდრეიც კი არ დაინდოთ! მსახური – თქვენი შვილები?!

ლაქციანი – რა თქმა უნდა, ტუტუცო, რა თქმა უნდა, ჩემი შვილები!!

მსახური – აკი – უფლისწულის სრულწლოვანებამდე რეგენტობაო?

ლაქციანი – რეგენტობას მხოლოდ ბრიყვი დათანხმდება, როცა შეიძლება მეფე გახდეს! ტახტზე ერთი ადგილია! გაიგე? – ერთი! და ამიტომ ორნი და მეტნი ვერასოდეს გამეფდებიან, თუნდაც ისინი დედა-შვილი იყვნენ. როგორც ერთია მამა-ზევისი, გამჩენი ქვეყნიერებისა, როგორც ერთია ცა და დედამისა და როგორც ერთია თვითონ ტახტი, ისე ერთია მასზედ მჯდომის! სამყაროს ძირითადი ფასეულობები არ იყოფა!!

მსახური – დედოფალო, მემკვიდრეების სიცოცხლის ხელყოფა ხალხის თქვენდამი, მათი დედისადმი, ნდობას შეარყევს. აქ დედას აღმერთებენ!

ლაქციანი – აღმერთებენ? საქმეს მიხედეთ-მეთქი, საქმეს! განა მეფეა კოხი არ იყო? მან ხომ, სიყვარულით გაცოფებულმა, გასწირა შვილები, ბერძენი ლაოდიკეს გაცოფებას კი სიყვარულთან, ტახტისა და ძალაუფლების სიყვარულთან ერთად სიძულვილიც კვებავს – სიძულვილი მათი საზოგადოების მამისადმი და მთლიანად მათი ჯიშისადმი! ამათ გამაუბედურესი, ამათ! ოპ, ბედშეო ლაოდიკე – ათენის არისტოკრატიის უღამაზესი ასული! წყუღიმც იყოს მამაჩემის ოქროთი გაუმძაღარი სული ამ გაუცხოებულ და მიუღებელ სამყაროში ჩემი გამოთხოვებისთვის! ამ შუმი ღვინის მოტრფიალებებს დღემდის სჯერათ, რომ უფლის რჩეულნი არიან!

მსახური – დედოფალო! მემკვიდრეები...

ლაქციანი – წყუღიმც იყვენ!.. არ გამაგონოთ! თვით ბერძენებაც კი ვერ გაგებდეთ ამდენი! სასაცილოა, სასაცილოა, ნაცარქეციბო! თქვენ მე ის ბრიყვი დევი არ გეგონოთ, ჭყინტი ყველის უკანასკნელი კვერი თვალწინ რომ გაუნურეთ და შეაშინეთ – ქვას წყალს ადვინებენ! ნუთუ ვერ ხედვით: გამჩენი ღმერთი საბოლოოდ უკვე მაშინ გაანაწყენეთ, როცა ცეცხლი მოსტაცეთ? მოსტაცეთ და მხოლოდ ივერიელთათვის ჩვეული გულუბრყვილობით ჩამოურიგეთ მთელ ადამის მოდგმას, თითქოსდა უფლის ამ უდიდეს მადლს ყველა თანაბრად იმსახურებდა!

რჩეულნი? ბრიყვებო, აბა, რომი რაღაა? აი ნამდვილი რჩეული უფლისა, ბარბაროსებო! დღეს ის განაგებს ყველას და ყველაფერს, ამიტომ, გასურთ თუ არა, უნდა დაემორჩილოთ მის ნებას! მის და ჩემს ნებას!!

ოო, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მომწყინდა მეფის ცოლობა და როგორ მომწყურდა პირველობა! მიესალმეთ დედოფალს!

(ისმის ყოფინა, შემოვარდებიან მკვლელები ხანჯლებით, გარბი-გამორბიან კულისებში. სცენაზე ხანდაზან მოსაკლავად განწირული ადამიანებიც დარბიან, სიკვდილით დასჯის საშინელი სცენება, კლავენ ბავშვებსაც, კოხს ლაზოს ლაოდიკეს ფერხთით გამოასალმებენ

სიცოცხლეს. ლაოდიკე ამ ყველაფერს შემადლებული ადგილიდან ადევნებს თვალს. ბედნიერია. მკვლევლები მოამთავრებენ საქმეს და გვერდზე გადავებთან. შემოდინ მსახურები!

მსახური – დედოფალი, უფლისწული მითრიდატე არსად არ არის, ვერსად ვიპოვებ!
მეორე მსახური – ცამ ჩაყლაპა თუ მინამ, ვერა გავივით!

ლაოდიკე – აი რას გვიმალავდნენ ქურუმის ვარსკვლავნი! სასწრაფოდ მოძებნეთ და აქ მომგვართ წყელი ქურუმი! იმ გველის წინილის გაუჩინარებაში მისი ხელი ურევია. ოთხიგზის არ მარბივლი დაადევნეთ ორივეს. როგორ ჩამიმწარეს უტკობლესი წუთები უმემკვიდრო ტახტზე ასვლისა!

(ლაოდიკე წერვულობს, მკვლევლები გადიან).

სხვა რა გამოსავალია – მცირეწლოვანი და თანაც გაქცეული ერთადერთი მემკვიდრის პირობებში ტახტსა და ქვეყანას უპატრონოდ ხომ ვერ დავადებ?!
(ტახტზე ჯდება და გვირგვინს იდგამს თავზე).

მინდოდა, სისხლის კალო ერთ დღეს გამეღუნა და მერე მშვიდად მედედოფლა, მაგრამ განა გვირგვინოსანთა ხედრია სიმშვიდე?!

მეორე სურათი

გარემო იცვლება. შემოდის ორი ყრმა: ოცი წლის მითრიდატე და მისი მეგობარი კახაბერი, მათ მოსდევთ უკვე 35-იოდე წლის ქურუმი.

პახბპირი – მითრი, ალბათ, ძალიან ძნელია, გადაწყვიტო, შეებრძოლო მშობელ დედას!

მითირიღბტი – ძნელია, კახაბერ, ძნელი! მაგრამ მე დედას ვებრძვი განა? ჩემი დედა და გამაზრდელი დედაშენია.

პახბპირი – მე ყველას და ყველაფერს შევებრძოლებოდი, დედას და მამას კი ვერასოდეს!

მითირიღბტი – ამიტომაც ხარ შენ კახაბერი, მე კი მითრიდატე. შენს ოჯახში დედაშენს სისხლიანი მარათონი არ გაუმართავს. ქალი, ვის წინააღმდეგაც მე გალაშქრება გადავწყვიტე, მამაჩემისა და ჩემი და-ძმების მკვლელია. მე თვითონაც ათი წელია უჩინარის ცხოვრებით ვცხოვრობ ჩემი დედადნოდებულისგან დევნილი.

ო, უფალო, ნუთუ შესაძლებელ და სამართლიან სასჯელად მიგაჩნია, ადამიანს ასეთი სიძულვილით სიძულდეს ათი წლის უნახავი დედა და ასეთი სიყვარულით უყვარდეს ათი წლის უნახავი სამშობლო?!

ძურუმი – *(ჩაფიქრებული)* საოცარი მშობლები გყავდნენ, კახაბერ, საოცარი! დედა – აღსავსე სათნოებით, მამა – აღსავსე სიბრძნითა და ვაჟკაცობით! ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ გლახთაგან მე თვითონ ამდენს ვისწავლიდი. გუშინდელი დღესავით მახსოვს, როგორ მოგვიყვანეს მეფის სასახლიდან თქვენთან სახლში.

იმ ღამეს სტუმრებს დარჩენა დაგვაძალეს და მე თქვენს გვერდით ფიცარნაგზე დამიგეს ლოგინი, თვითონ კი შუა ცეცხლთან საუბარში გაატარეს ღამე.

(უცებ თითქოს ხალისი მოემატაო, ეშმაკური ღიმილით მიმართავს ახალგაზრდებს)

გინდათ მოგიყვებო, რაზედ საუბრობდნენ მთელი ღამე?

პახბპირი – გთხოვთ, ქურუმი, მოგიყვებით...

ძურუმი – აბა, ჩამოსხედით, თან ცოტა დავისვენოთ. მამაშენმა *(მიმართავს კახაბერს)* ჩვენი მისვლისთანავე იგრძნო რაღაც შეუსაბამობა, ჰოდა, დედაშენს ეუბნებდა: კილოკავი უცხო აქვთ ბავშვსაც და ამ მომყოლსაც. – ჩვენი მხრისანი არა ჩანან. ან რას მივანერეთ ამ დაძინძილ ბავშვზე მეფის ასეთი მზრუნველობა? როდის იყო, მეფე თავის პირად მცველს უგზავნიდა ძიძას მდაბიო ბავშვის ჩასაბარებლად? თანაც ამ ბიჭის სიტყვა-პასუხი... დიდი კაცის შვილი ჩანს ეს ბავშვი! გრძელი თმა და მოკლე ჭჭუა მოგცა, დედაკაცო, გამჩენმა!

პახბპირი – *(წაღვლიანი ღიმილით)* ჰო, ასე იცოდა ხოლმე თქმა...

ძურუმი – დედაშენს სულაც არ აინტერესებდა ჩვენი ვინაობა და წარმომავლობა. მითრიდა-

ც.ს.ა.ი.

ტუც მაშინვე მოეწონა. ისე მოეფერა და ჩაიხუტა გულში... ამას თან დაერთო მეფისგან ნაბოძები საძიძო ძღვენიც, რაც სწრაფად შეაფასა, როგორც ოჯახის დედამ, დიასახლისმაც: კაცო, რა შენი საქმეა, ვინ არის და ვისი შვილია ეს ბავშვი, იმიტომაც მოგართევს მეფისგან მთელი ცხოვრების სარჩო-საბადებელი? თანაც ნახე, რა მშვენიერი ყმაწვილია! ისიც უტყობა, რომ ჭკვიანი ბავშვია, სათნო და თვინიერი. მძასავით შეეზრდება ჩვენს კახაბერს. გაიხრდებდა ჩვენი კახაბერი დიდი კაცის ძუძუმტედ და კია ბედხაც ეწევა, დედა ენაცვალოს!

მამაშენმა ცოტა ბრაზით უპასუხა: ჰო, თუ სხვას არაფერს გადაჰკიდა. დიდი კაცის გვერდით დიდი წარმატება და დიდი უბედურება ერთნაირად მოსალოდნელია... რაც ამქვეყნად ცრემლი და სისხლი დაღერილა, ადამიანს სულ თავისი დიდებისთვის დაუღვრია. დიდებისთვის ბრძოლა კი უმთავრესად წარჩინებულთა და დიდგვაროვანთა სწეულებაა. განუკურნებელი სწეულება. მდაბიოთა შორის ეს სენი იშვიათია – ლუკმაპურის მოპოვებაზე არიან გადამდგარი. ამიტომაცაა საბოში დიდგვაროვანთა გვერდით უგვანოთა ყოფნა. როცა ტყეში ამოვარდელი ქარიშხალი დიდ ხეს წააქცევს, ის ხე უამრავ მცირე ხეს ჩაიყოლებს თან. მზესა თუ ცეცხლს იმდენად უნდა მიუახლოვდე, რომ გათბე, მაგრამ არ დაგწვას.

(ეკლში ბოლბოლოლილივით შეწყვიტა და სახე მოარიდა კახაბერს). ბრძენი კაცი იყო მამაშენი, ბრძენი და გამირი *(დგება)*. დროა, წავიდეთ!

პახაბერი – მითრი, მგონი, ეს უკვე პონტოა – შენი სამშობლო, შენი მინა-წყალი! მითრიღაბი – არ მეგონა, თუ ასე გამიძნელებოდა მასთან შეხვედრა. ახლა ვდგავარ და შობი მიპყრობს, კახაბერ. ამ ნაბიჯს იქით ჩემი სამშობლოა, სამშობლო, სადაც თითქმის არავინ ჩემიანად არ მეგულდება; სადაც არავინ მელის, არავინ მეძახის. აქამდე მოსვლა მიხაროდა, ამის იქით კი მეშინია.

პახაბერი – წინაპართა მინა უფრო მყარია, თანაც საკუთარ სახლში კედლებიც გეხმარებიან, შენი მამაპაპისეული კედლები! წუ გეშინია!

(მითრიდატე ნაბიჯს გადადგამს. ნაბარბაცდება და ხელგეგამილი დაეცემა მინაზე, კახაბერი და ქურუმი გულიანად იცინიან).

ქურუმი – ეს ქალმერთი ნანა შემოგვება და საუკეთესო ნიშანი მოგცა – ხედავ, როგორ ჩაგინხუტა გულში მშობლიურმა მინამ? ის ხომ შენ თითქმის ათი წელი გელოდა, უფლისწულო!

მითრიღაბი – *(დგება, იცინის. ფეხზე გაიხდის და ფეხშიშველი მიაბიჯებს)*. საოცარია, თითქოს ფესვები ვიგრძენი, ნამიან ბალახს რომ დავაბიჯე. ო, ღმერთო ჩემო, ეს ჩემი სამშობლოა, მე აქ დავბრუნდი.

(მორბის წინ).

რა სილამაზეა! რა მშვენიერია აქაურობა!!

ქურუმი – ლამაზი კია, მაგრამ დღითი დღე კნინდება შენი პონტო. შენი მამაპაპისეული პონტოს ძლიერებიდან აჩრდილიდა დარჩა. რომაელები მართავენ დედაშენსაც და პონტოსაც. გაჩანაგდა ქვეყანა. ერიც და ბერიც მშველეს ელის, შენ გელის, მითრიდატე! გიყვარდეს ისინი, როგორც კაცნი, და შეგიყვარებენ, როგორც ღმერთს! ემსახურე და გემსახურებიან!

მითრიღაბი – სანამ ცოცხალი ვარ, რომს არც მე დაენებდები და არც პონტოს დაეანებებ. ვიცოცხლოთ თავისუფლად – მოგკედეთ ღირსეულად!! ფიცაც ვიერთა წმინდა სალოცავებს, რომ რომის მზე პონტოში ვერ გაიბრწყინებს ვერასოდეს! რომის მზეს მე პონტოში დავაბნელებ!!

ქურუმი – მზეს რომ ჩრდილი მიაყენო, თავად უნდა კაშაშაებდე!

პახაბერი – სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შენს გვერდით ვიქნები, მითრიდატე! ჩვენ გავიმარჯვებთ, მითრიდატე, ჩვენ გავიმარჯვებთ!

მესამე სურათი

სასახლე. სცენაზე არიან დედოფალი და მსახურები.

I მსახური – დედოფალო! უკვე სასახლის კედლებს მოადგნენ, დედოფალო! უღვივო ბებო ახლავს თან. მეფის სარდლებიც მის გვერდით დგანან, ის წყეული ქურუმიც მასთან არის.

ლაოლიკა - (ზი ზლით) ნახევარი პონტოც რომ გაგვეწყვიტა, სადღაც მანც დარჩებოდა წყუ-
 ლი თესლის მარცვლები. ეტყობა, ამ მინიდან ამ თესლსა და ფესვებს ვერ ამოძირკვავ!

II მსახური - სასახლეშიც ამბოხია, ქალბატონო!

I მსახური - დედოფალო, აკი, მდევარმა არარატის მთასთან დავეწიეთ და აპოლონს მსხვერპ-
 ლად შევწირეთო. ნიშნად მოტანილი გულსაკიდიც, კარგად მახსოვს, ნამდვილად მისი იყო.

ლაოლიკა - არავინ იყო ამის შემძლე გარდა ქურუმისა, მაგრამ რაღა დროს...

I მსახური - იქნებ-და სულაც თვითმარქვიაა ის ყმანელიკაცი. ხომ მოედეთ მთელ ქვეყანას,
 უფლისწული მითრიდატე რომში სასწავლებლად გზად მიმავალი მორიგელმა დაგესლა და მოკვდაო.

ლაოლიკა - (წერული ფესტიო) მაგ საკენს ვინ აკენკავს ახლა?!

II მსახური - მოქმედებაა საჭირო, დედოფალო, სასწრაფოდ მოქმედება!

ლაოლიკა - (განწირული ხმით) უბრძანეთ ჯვარს, წინ აღუდგეს უზურპატორს! მოკლან, მოს-
 პონ, გაანადგურონ, ჩააძალონ, დაგლოჯონ საკუთარი დედის წინააღმდეგ ამბოხებული შვილი!

სად არიან რომაელები?!

I მსახური - უზურპატორი?!

II მსახური - რომელ ჯვარს, დედოფალო? ყველა მითრიდატეს მხარესაა - ქალიც და კაციც,
 ჯარიც და ციხისკაცნიც, რომაელებსაც კი კუდით ქვა ასროლინეს. მათი შეჩერება ახლა არავის
 ძალუძს, დედოფალო!

ლაოლიკა - აკი მთელი ქვეყანა მეფიცებოდა აპოლონის ტაძარში, სიკვდილამდე შენი ერთ-
 გული ვიქნებითო?!

I მსახური - (გარეთ იხედებოდა). სიხარულის შეძახილებით ეგებებიან მითრიდატეს.
 ყმანელქალები ყვავილების გვირგვინებით ამკობენ... ღმერთო, როგორ დამშვენებულა
 უფლისწული!

ლაოლიკა - (თითქოსდა თავისთვის) მიწა ჩემი ქმარ-შვილის ცოდვამ! ათი წელი დღედაღამ
 ჩამსისინებდა მათი სისხლის ღაღადისი. (პაუზა, უფრო მაღალი ხმით) რა უკულმართია წუთი-
 სოფელი! რა უმადურია ბრბო! თავის დროზე რა გულგრილობით მამატის ყველაფერი, როგორ
 მეფიცებოდნენ სიყვარულს და ერთგულებას, ახლა კი ამ ლანჩარაკს ეგებებიან, ეგებებიან მითრი-
 დატეს, რომელსაც დედის სიკვდილი მოაქვს თან!

I მსახური - უნდა გავიქცეთ, დედოფალო, თავს ვუშველოთ!

ლაოლიკა - ვინ გაქცევია ბედისწერას?! წადით! (პაუზა) მე აქ ვრჩები!
 ჩემს ღვიძლ შვილთან შეხვედრა მინდა! განა დედისთვის მოგონილა უფრო დიდი ბედნიერება,
 ვიდრე ტახტზე ასასვლელად გამზადებული შვილის ხილვა და მისი დალოცვა?!

(სცენაზე შემოეარდება მითრიდატე ახალით. უახლოვდება ლაოლიკას).

მითრიდატე - დაგეტოვებ ყველამ!

(სცენიდან ძირითადად გადიან ლაოლიკეს მსლებლები).

ჩვენი შეხვედრა სულ სხვაგვარად წარმომედგინა. სანამ ბავშვური ხილები ცხოვრებამ რეალ-
 ობის გრდემლზე არ დამიმსხვრია - მეგონა, გადაგებუდი, ჩაკოცნიდი, შენ კი დედაშვილურად
 დამლოცავდი შორეულ გზებგამოვილის.

ლაოლიკა - დედა მოგიკვდეს, შვილო. მოლოდინი ვერ გაგიმართლა მშობელმა?! მოგწონს ეს
 თუ არა, მე მაინც დედა ვარ შენი.

მითრიდატე - დედა?! დედა... ო, რა საშინელ ტკივილს მაყენებს ეს სიტყვათა შორის უწმინდ-
 ესი სიტყვა! ო, როგორ მინდა, მიყვარდე ისე, როგორცა მძულხარ, მშობელო დედა!

(პაუზა. თან ცნობისმოყვარეობით ათვალეოვებს დედას).

იბერიამიც, კოლხეთშიც ბევრს ლაპარაკობდნენ პონტოს დედოფლის მზაკრობებზე, თავგა-
 დასავლებზე...

ლაოლიკა - მონაგონია ყველაფერი, მონაჭორია!! შენ, მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია, დაიცვა
 საკუთარი დედის შელახული ღირსება!! (ცდილობს, მოხვების).

მითრიდატე - (მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის აწევით) თავ-გა-და-სავ-ლები!!

ლაოლიქა - შვილს არა აქვს უფლება, მშობელი განიკითხოს!

მითრილატი - განა შენ კი აქონდა უფლება, ქმარ-შვილის სისხლით დამძიმებული გვირგვინი დაგედა თავზე?!

ლაოლიქა - გვირგვინი სხვაა!! გვირგვინის ბრწყინვალეობა აბრმავებს ყველას და ყველაფერს!! გვირგვინით ცთუნება ამართლებს ყველა ქმედებას!!

მითრილატი - ჰოდა, მეც გვირგვინისთვის მოვედი, მშობელო დედაც!

ლაოლიქა - განა როდესმე მიგიღია უარი ჩემგან? მომირთმევია!

(გვირგვინს მოიხსნის და თავზე დაადგამს მითრილატს).

იბეგე! მართე! მეფობაშია გამართლება ნუთისოფლისა - უაზრობაა უგვირგვინო სიცოცხლე ქვეყნად!!

(გასძახის თავის მსახურებს) თასი მოგვართვით საფერავისა, დედამ მეფობა დაულოცო ჩემს მითრილატს!! ჩემს შვილს და ჩემს მეფეს!!

(ფარეშს ღვინით საცეცხრ თასს შემოუტანს ლაოლიქას, ლაოლიქე ერთს მითრილატს მიანდის).

მითრილატი - იბრაჰიმი საზიარო იმება თასი, როცა ფუტეზე შორი გზიდან ბრუნდება შვილი! მოდი, ჩვენც შევსაეთ და შევწყვიტოთ ხანგრძლივი მუღლი, დაბუღებული ჩვენს ოჯახში ოდიფან ოდი.

ლაოლიქა - *(დაბლა დაანარცხებს თავის სასმისს და ხელის ცახცახით გამოართმევს თასს მითრილატს).*

საკმარისია! ყველაფერი მთავრდება ერთხელ! ნიღბის სიმძიმე მხოლოდ მან იცის, ვისაც ნიღბი უტარებია, თუმცა უნიღბოდ სიარული დიდი ხანია უარყო ადამის მოდგამა. გვირგვინოსანთა და გვირგვინის მაძიებელთა ბოლო შხამით საცეცხრ თასია მუღამ. მხოლოდ ეგ არის, მათ შორის ერთნი ამ თასს ისე სვამენ, რომ გვირგვინს ვერასოდეს დაიდგამენ თავზე, მეორენი კი ამ თასამდის გვირგვინით თავშემკუდნი მიდიან. ჰოი, საწუთროვ, შენგან შექმნილ მშვენიერებას შენი ქმედების ვერაგობა სძალავს!

(ლაოლიქე თასს ცლის და კვდება).

მეორე მოქმედება

მეთხე სურათი

მითრილატე და ლუციუს სულა. ბრძოლის ველზე პირისპირ შეხვედრა.

სულა - რატომ დუმს მჭევრმეტყველებით სახელგანთქმული მეფე პონტოსი? რამ დაადუმა მეფე, რომელსაც ოცზე მეტი ენა ასწავლეს ბერძნებმა ფილოსოფიის ლაბირინთებში გზათა საკვლევად? სხვათა შორის, ბერძნებს დღეს მხოლოდ კალამი და საქრეთელილა უჭრით.

მითრილატი - დუმილი განსწავლამ მასწავლა. მე ამ ქვეყნის მეფე ვარ და აქ მოვედი, რათა შევეგებო და მოვუსმინო შორი ქვეყნიდან მოსულ სტუმარს. მინდა, გავიგო მისი ზრახვები - მტერი მოსულა თუ მოყვარე.

სულა - მერე რას ხედავ, მითრილატე?

მითრილატი - სულა მოსულა!

სულა - რას ნიშნავს ეს შენთვის?

მითრილატი - დიდი ადამიანის მოსულა, ცხადად თუ სიზმრად, დიდი უბედურების ან დიდი ბედნიერების მომასწავებელია, - გამოცდილებით მიღებული ასეთი ნააზრევი დაგვიტოვა ჩვენმა წინაპარმა.

სულა - ბრძენი წინაპარი გყოლია. მაგ ქათინაურს კი სტუმართმოყვარეობაში ჩავითვლი!

მითრილატი - კი, მაგრამ ამ ლეგიონებს თან რად მოიყოლებდი?! თუ მტრად მოსულხართ, ძალიან ცოტანი ხართ, თუ მოყვარად, მით უმეტეს მეცოტავეებით. არ დარჩა რომში არავინ, კიდევ რომ წამოგყვანათ?!

სულა - დარჩა, მითრილატე, კიდევ ბევრი დარჩა. ულევია რომის რესურსი! ...ვაფასებ შენს სარკაზმს!

მითრილატი - რისთვის მოსულხარ, კონსულო სულა?!

1516

სულა – დიდებისთვის!! დიდების მოხვეჭა რომისთვის და საკუთარი თავისთვის – სხვა შემთხვევაში რომის დატოვება უაზრობაა ყველა რომაელისთვის.

მითრილატი – კაცობრიობას ახსოვს დიდი სახელები, რომელთაც დიდება საკუთარი ქალაქიდან გაუსვლელად მოიპოვეს.

სულა – ახსოვს, მაგრამ არა მხედართმთავრების... მხედრული დიდება ან სხვისი ქვეყნის დაპყრობით მოიპოვება, ან საკუთარი სამშობლოს დაცვით.

მითრილატი – სისხლისა და ცრემლის მომტანია შენი ლოგიკა, თუმცა ცხადია, მას ადამიანის ბუნების არასრულყოფილება უძევს საფუძვლად.

სულა – განა არ იციხს მითრილატემ, რომ რომის პოლიტიკა მეგობრებისა და მოკავშირეების ძებნაა ყველგან, სადაც რომს თავისი ინტერესები აქვს. დიდი და მძიმე ტვირთი იკისრა რომმა – დიდი პასუხისმგებლობა, იყო მსოფლიოს ცენტრი! ჩვენი საზრუნავია მშვიდობა ყველგან და ყოველთვის. ამისთვის დადის რომი მთელს დუნიაზე და ეძებს მეგობრებსა და მოკავშირეებს.

მითრილატი – ერთ ბრძენს უთქვამს, მეგობრები ჭკვიანმა კაცმა საკუთარ სახლში უნდა გაიჩინოსო.

სულა – ზარმაცე კაცი შეთხზული გამოუსადეგარი სიბრძნეა. ეს კია, თავის მოკავშირეებს რომი არასოდეს მიატოვებს.

მითრილატი – თქვენ აქ, ამ მინა-წყალზე მოკავშირეებს კი არა, მოლაღატებს ეძებთ! მათი იმედით და მათ იმედად ხართ მოსულნი! დასაყრდენს ეძებთ და ვიცი, ხშირად პოულობთ კიდევ! მამაჩემის სისხლიც თქვენს სინდისზეა! ეს თქვენ შეანმინდეთ გვირგვინის ბრწყინვალეობით დაბრმავებულ დედაჩემს ქმარ-შვილის სისხლი, ხოლო, რაც შეეხება მშვიდობას – ის რომიდან ერთ ჯორზე აკიდებული ზურგით გაცილებული ადგილი ჩამოსატანი იყო, ვიდრე შესწამო მთელი მსოფლიო ლეგიონების მახვილებით. განა არ იცი, რომ ამ ქვეყანაში მახვილით მოსულს მახვილით ხვდებიან?

სულა – მითრილატე, შენ რა, ომი გსურს?!

მითრილატი – არა, მე არ მსურს ომი. მე მინდა მშვიდობა, ღირსეული მშვიდობა და თავისუფლება ჩემთვის და ჩემი ქვეყნისთვის.

სულა – უგუნურო, შენ ომი გსურს! ნუთუ ფიქრობ, რამე აზრი აქვს რომის წინააღმდეგ შენს ბრძოლას?!

მითრილატი – ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი! ჩვენ თქვენსავით ომი ხელობად არ გვიქცევიან! ჩვენ ჩვენსას ვიცავთ და სხვისი არა გვინდა-რა! (პაუზის შემდეგ) თუმცა მე ახლა ვცდილობ, რამენაირად სისხლის ღვრის გარეშე დავიცვა ჩემი სამშობლო და ჩემი ერი.

სულა – თვალთმაქცობ, ვხედავ...

მითრილატი – ეს მეცნიერება, რომაელო, ლათინურ ენაზე შემასწავლეს ჩემმა აღმზრდელებმა. შენ მშვენიერად მოგეხსენება, რომ მას ბერძნულად პოლიტიკა უძევი.

სულა – თვალთმაქცობ-მეთოქ, მითრილატე! „ჩემი ერი ჩემი სამშობლო!“ მშვენიერად იცი, მხოლოდ მონათლავ ენებზე მოლაპარაკე ათეულობით ტომებით დასახლებული ეგრეთ წოდებული „შენი სამშობლო“ ვერასოდეს იქნება ერთიანი ვერც შინ და ვერც გარეთ. ეს ხუხულა მანამდე იდგმება, სანამ შენ მახვილს იქნევ, მერე ეგ თქვენებურები ისე დაერევიან ერთმანეთს, როგორც აფორები ლომისთვის ლეშის წართმევის შემდეგ.

მითრილატი – აი რისი იმედი გაქვთ! აი თქვენი უმთავრესი იმედი და იარაღი – ჩვენი გათიშულობა, ჩვენი ერთობის არქონა, ჩვენი ლალატი და გამცემლობა! რომ არა თქვენ და თქვენისთანა ვეშაპები, ჩვენ დიდი ხნის წინ შევიკვრებოდით ერთ ერად და ამ ხუხულის ადგილზე უდიდეს და უმშვენიერეს სასახლეს წამოვმართავდით, მაგრამ განა გვაძლევთ ამის დროს და საშუალებას? „გათიშე და იბატონე“ – აი თქვენი პრინციპი და პოლიტიკა. ის თქვენამდე შექმნილა და, ალბათ, თქვენს შემდეგაც კიდევ ბევრი გამოიყენებს.

სულა – რომი ერთია და მეორე რომი ქვეყნიერებას არ ეღირსება!! ...თანაც ხომ იცი, რომ ერთი მართავს – მეორე იმართება. სხვაგვარი წესრიგი იუპიტერსაც ვერ მოუვლინია, მითრილატე.

მითრილატი – რატომ, რატომ? რომელი ციდან ჩამოუშვეს რჩეულ ერთა სია? ან რატომ დანარჩენებს გამჩენმა არ აცნობა მათი შავ სიაში შეტანის შესახებ? რატომ ჩვენ არა გვაქვს

უფლება უფლის მიერ ნაბოძებ მინა-წყალზე ჩვენი ქვეყნის შენებისა და ჩვენი ბედის მართვისა? სად არის სამართლი, რომელზეც ასე ხშირად და ხბამალა ქადაგებს რომი?

სულს - (დამცინავი კილოთი) რა სასაცილოები ხართ! ნუთუ თქვენ მართლა გჯერათ, რომ უზენაესი ღმერთის მიერ ნაჩუქარ მინაზე ცხოვრობთ. თქვენს შესახებ წუხელ ჩემი ლექტორი მიყვებოდა რაღაც აბდაუბდას... მითხრა, რომ თქვენი ქურუმები დადიან და ხმას ავრცელებენ, თითქოსდა უახლოესი ასი წლის განმავლობაში უზენაესი დედამიწაზე მოავლენს მესიას, რომელსაც მაინცადამაინც თქვენ გაასამართლებთ, როგორც უფლისგან რჩეულნი. საიდან ეს მიამიტობა, კადნიერება და მკრეხელობა ერთად აღებული, პონტოელო?! ვინ ხართ თქვენ, იბერიელებო?!

მითრილატი - ჩვენა ვართ მცნობნი გამხელილის და გაუმხელილის! გამხელილი რომმა თავისი მწყობრი ლეგიონების ძალით უკვე გამოპგლიჯა ბერძნებს, რომლებმაც ის თავის მხრივ ჩვენ ცბიერებით წაგვგვარეს. რაც შეეხება გაუმხელელს, ის საიმედოდ დაფარულია და მხოლოდ რჩეულ ივერეთს ქურუმთ უწყისა მისი არსი თუ ადგილსამყოფელი.

ჯერ კიდევ ყმანვილობის წლებში მაუწყეს თავიანთი წინასწარმეტყველება, რომ ჩემი სიკვდილიდან ასი წლის განმავლობაში სამყაროს შემოქმედი მამაუფალი განკაცებულ მესიას მოავლენს დედამიწაზე კაცთა მოდგმის ცოდვათა საზიდად და მას, კაცთაგან განწირულს, უარყოფილს და ბრალდებულს, სწორედ ჩვენი მოდგმის კაცი, პონტოელი გაასამართლებს.

სულს - (ავდებით, ირონიით) მერე? მერე რაო?!

მითრილატი - მერე ის, რომ ჩვენი ჯიშისა და ჯილაგის კაცის განაჩენი შეიქმნება საფუძველი უფლის ნების აღსრულებისა!

სულს - რა აბდაუბდაა! ვერ ვხედავ ვერც ლოგიკას, ვერც საფუძველს და, მით უმეტეს, ვერც სიამაყის საგანს.

მითრილატი - ყველა ჩვენგანი იმას ხედავს, რისი დანახვაც სურს.

სულს - რა თქმა უნდა, მაგრამ ხომ არსებობს ზღვარი სარწმუნოსა და დაუჯერებელს შორის.

მითრილატი - არის საგნები, რომელთაც, თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, და არის საგნები, რომელთაც, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ.

(პაუზის შემდეგ)

... ისე, არა მგონია, ეს ლეგიონები ამ თემებზე სასაუბროდ მოგყვანოს აქ, ამ ველზე...

სულს - არა, მაგრამ რომმა უნდა იცოდეს, ვინ ებრძვის მას.

მითრილატი - კონსულო, ნუთუ რომი აქ ისე მოვიდა, რომ არ იცის, ვის ართმევს მინას? ნუთუ არ იცის რომმა, რომ ოცი ათას სტადიონს პონტოს ზღვის გასწვრივ და სამხრეთით მე ვფლობ, მე, მითრიდატე პონტოელი, რომლის ძარღვებშიც სჩქეფს მგზნებარე და დაუცხრომელი სისხლი იბერიელთა. აქ, ამ მინა-წყალზე კაცობრიობის დასაბამიდან ცხოვრობს ჩემი გვარ-ტომი. ამ გვარ-ტომმა ასწავლა კაცობრიობას პურისა და ღვინის მოყვანა და მოხმარება. ამ გვარ-ტომმა გამოუდნო კაცობრიობას პირველი ოქრო და პირველი რკინა. ათასეული წლებია, აქ ვიბადებით და აქ ვკვებით, აქ არის ჩვენი მამა-პაპის საფლავები! ეს მინა-წყალი ჩვენ გვეკუთვნის და ჩვენ ამ მინა-წყალს ვეკუთვითნი!! ორასზე მეტი წელია, ჩემმა დიდმა წინაპარმა მითრიდატე პირველმა ჩვენი ხალხის სისხლითა და ოფლით მოიპოვა დარიოსისგან უფლება, მის მიერ დაარსებულ დინასტიას ემართა ეს მაღლიანი ქვეყანა ერთ ენაზე მოლაპარაკე ერთი, საერთო ზნე-ჩვეულებებითა და ტრადიციებით. რას ეპოტინებთ ჩვენს მინა-წყალს ოთხიგუთხივ ყველა, ვინც კი ძალას იგრძნობთ მკლავში თუ თავში?! რა დაგვიკარგავთ აქ, რას ეძებთ?! რისთვის მოვიხარეთ?! რას გეჩივიით?!

სულს - ჩვენ არ ვჩივით, თქვენ გიჩივიან... და გიჩივიან თქვენივე მოდგმისანი.

მითრილატი - მოლალატეს რა გამოლევს ადამის მოდგმაში?!

სულს - რატომ გაგზავნე შენი ვაჟი ჯარით კაპადოკიაში? რატომ, რა უფლებით?!

მითრილატი - კაპადოკია ჩემი სამემკვიდრეოა და მას არასოდეს შეველევი. ის მესხებით, ხალიბებით და სხვა ჩვენებურებით დასახლებული მხარეა და არაფერი აქვს საერთო რომთან. სხვათა შორის, ისევე, როგორც ფრიგიას, რომელიც თქვენ დამოპირისპირეთ, - ნიკომედი ზარალს განიცდისო, - თითქოს ნიკომედის დარდი გქონდათ და მისი ბედი განუხებდათ. მას შემდეგ რომი

შესაბამის მომენტს ელის, რომ ჩემთან ომი წამოიწყოს. სენტამაც იმიტომ არ ისურვა, ჩვენს შორის დადებული ხელშეკრულებები და ზავი დაემტკიცებინა.

სულა – რომი მხოლოდ საბოლოოდ დამარცხებულ მტერთან დებს ზავს.

მითრიდატი – ვერ ელირსებით! დღეს ყველა იბეროული ტომი ჩემთან არის!

სულა – (ისევ ირონიით) ბერძნულ ქალაქებზე რას იტყვი? იმედია, მათ მაინც ჩემიანებად თვლი? ისინი დიდი ხანია სენტას წერილს წერილზე სწერენ – დავვისხენით ამ ტირანისგანო! სენტას დავალებით მშვედი აქ, მოსვლის ერთ-ერთი მიზანი კი ბერძნული ქალაქებისა და მისი მოქალაქეების უფლებების დაცვაა.

მითრიდატი – (აღშფოთებით) ბერძნული ქალაქები?! ამ ქალაქებს ჩვენ ახალშენებს ვუწოდებთ! მართალია, ისინი ბერძნებმა დააარსეს, მაგრამ იქ ჩვენთან თანაცხოვრებისა და თანამოქალაქეობის პირობით. აქ ყველა რჯული ერთი კანონით ცხოვრობს და ერთნაირი უფლებით სარგებლობს! განა ჩვენ ვეპატიუბოდით ან ძალით მოვერეკებოდით ვინმეს?! ყველა თავისი სურვილით მოსულა აქ და ჩვენი კეთილი ნებით დასახლებულა. იქნებ ის უფრო ანუხებს ყოვლისმოდენ რომს, რომ ასეთმა ქალაქებმა ყველგან დაამკვიდრეს ელინური გავლენა პონტოსა და კოლხეთის გარდა. თქვენივე სიტყვით რომ ვთქვათ, დომინანტი აქ ჩვენ ვართ!

სულა – (თავს აქნევს) ძალზედ შორს მიმავალი ამბიციებია!.. მათ განხორციელებას დიდი სულისკვეთება და ძალა სჭირდება. გეყოფათ კი?! ეყოფით კი?!

მითრიდატი – გეყოფა და ვეყოფით! დიას! თანაც იცოდეთ, რომ რომი, დიდი ხანია, სწორედაც თავისი ამბიციებით ყელში ამოუვიდა ყველას – „ბერძნული ქალაქებიც“ ანტირომაულად არიან განწყობილნი და თვითონ ელადაც. სომხეთის მეფე ტიგრანი ჩემი სიძეა, პართიის, სირიისა და ეგვიპტის მეფეები ჩემი მოყვრები და მეგობრები არიან. ყველაფერს გააკეთებ, რომ მთელი სამყარო ავიმხედროთ.

იცოდეთ, ჩემი ქვეყნის ერთ მტკაველსაც არ დაგიტოვებთ! სანამ ცოცხალი ვარ, რომი მშვიდად ვერ დაიძინებს!!

სულა – სანამ ცოცხალი ხარ, შეიძლება! რომი შენ ბრალს გდებს ტირანიაში და კანონგარეშე გაცხადებს, მითრიდატე!

მითრიდატი – ჩვენ ვიღებთ გამონკვევას! ვუხმობ მამა-უფალს მონემდ, რომ ჩვენ ომი არ გვსურს – უნდა იცოდეს სიმართლე შთამომავლობამ და ისტორიამ!!

სულა – (ისევ ირონიით) ისტორიას სიმართლე არ სჭირდება, მითრიდატე! ისტორიას გამარჯვებული წერს, გამარჯვებული კი ყოველთვის მართალია!

(მითრიდატე და სულა გადიან თავიანთ ამაღლებთან ერთად).

მეხუთე სურათი

63 წ. ძვ. წ.-აღრ.

ჩრდილო-შავი ზღვისპირეთი.

ციხე-კოშკის სამეფო დარბაზი.

გარედან ისმის ხმაური, ყვირილი, შეძახილები.

შემოდის მითრიდატე – პონტოს მეფე, გოლიათური აღნაგობის, მხნე, ენერგიული მოხუცი. მოჰყვებიან უკვე ღრმადმოხუცი ქურუმი, კახაბერი, ამაღა, მეომრები, მსახურები. ყველას მლეღვარება ეტყობა.

მითრიდატი – მე, მითრიდატე VI ევპატორი... მე მითრიდატე პონტოელი ვარ! ჩემი მეფობა უფალმა იწება და ჩემმა წინაპრებმა ჩამაბარეს ეს ქვეყანა! მე მათ წინაშე ვაგებ პასუხს!

მშრპში – საოცარია ადამიანთა მსჯელობის პარადოქსები! უმეტესწილად, ჩვენი ცხოვრებით პასუხისმგებლობას ვგრძნობთ წინაპართა წინაშე, სინამდვილეში კი პასუხს ვაგებთ შთამომავლობის წინაშე.

მითრიდატი – ახლა მაინც თუ მაქვს უფლება, ქურუმი, არ ვიფიქრო შეილებზე და შთამომავლობაზე?! ეს – შეილის ნასროლი ისარი არ გამომადრეთ ბარძაყიდან? ეს – მათ არ მდიეს ოტებულ მამას კოლხეთის ჭაობებში და აფხაზეთის მთებში? ეს – მათ არ შემომამწყვდიეს თქვენთან ერთად აქ, ჩემს მიერ ნაბოძებ ბოსფორის სამეფოში?!

აბა, გაიხედე, მგონი, უკვე ბებერ ლომზე გამარჯვებასაც ზეიმობენ აფთრები. არ ელირებათ!

მურში - მუხამ თქვა: ცული რას დამაკლებს, მას ტარი ჩემი ტოტისა თუ არ გაუყარეს!

მიირიღატი - საიდან ჩემს შვილს მამის ამხელა სიძულვილი, საიდან?! მე ხომ მას სამეფოდ ვამზადებდი?! გვირგვინს მეცილებს? ის ხომ ისედაც მისია! სამეფოდ და სატახტოდ თუ უკვე მზად არის, იმას ველარ ხვდება, რომ რომი მისი ხელით ცდილობს მამამისის მოსაპოვას და რომ მერე მისი ჯერი დადგება?! რომს ის კი არ აინტერესებს თუ ვინ იქნება პონტოში მეფე, რომს სჭირდება პონტო და მისი მიწა-წყალი - უარეს შემთხვევაში მორჩილი მეფით, უკეთეს შემთხვევაში უმეფოდ. ნუთუ ეს არ ესმის ჩემს შვილს?! ნუთუ ვერ ხედავს ამას?!

მურში - ადამიანი იბადება ბუნებრივი ლტოლვით, გამომავლანოს თავისი შესაძლებლობების ზღვარი!

მიირიღატი - სამეფო გვირგვინის ქვეშ თუ თავი გონებითა და ჭკუით არ არის სასვე, ის აუცილებლად საკირში გაგორდება გვირგვინიანად. რა შეუძლია ფარნაკს, რისი მაცნისია?!

მურში - უფალი თავის რჩეულთ სიყვარულისა და სიძულვილის ნიჭით თანაბრად ასაჩუქრებს.

დაეს, როგორც ჩანს, შენი შვილია უფლის რჩეული, მეფეო.

პაბაბერი - (ჩაერთება დიალოგში) უფლის არჩევანის სამართლიანობაში უკვე იმიტომ შეგეპარება ეჭვი, დღემდე რომ არ დაეცა და დაინგრა რომი.

მურში - ამაზე ოცნებობდა პანიბალიც... იქამდე ანგრა რომი, სანამ რომს კართაგენი არ დაწვერვინა.

მიირიღატი - (თითქოს შერცხვალა, ნოსტალგიურ, მეგობრული ტონით და სვედიანი ღიმილით)

ქურუო... მოდი, ბერიკაცო, მოდი; მომიხვეჭი გვერდით, ჩემო გამზრდელი და ჩემო ერთგულო მეგობარო. შენზე უბრძნესი მზისქვეშეთს ნაკლებად უნახავს. შენ რომ ბერძენად ან რომეულად დაბადებულიყავი, ეგენი მთელ კაცთა მოდგმას შენს ხატებაზე გვალოცვიბდნენ, მაგრამ ჩვენ მაგის ბედნი ვინ მოგვცა?! - მაგათი ბაბაძე ჩხრიალებს, ჩვენი კაკალიც არა.

შენი გამჭრიახი გონება და ბრძნული რჩევა ბევრჯერ ნასდგომია ჩემს შფოთიან ცხოვრებას. ჩვენმა თანამოქალაქემ, დიდმა დიოგენემ, თავისი სიბრძნით ტიტანთა პაექრობაში ერთხელ ხომ დაამარცხა ალექსანდრე მაკედონელი?! იქნებ, შენც მომცე კიდევ ერთი რჩევა. ყველაზე მეტად ახლა მჭირდება შენი გამჭრიახობა!

მურში - სიბრძნე იშვიათად ახდენს გავლენას მოვლენებზე. სიბრძნე ნუთისოფლის უკუღმართობის წინააღმდეგ მიმართული ნიღაბია. აღმართს მხოლოდ ძალა ხნავს, მეფეო! მომხდური მხოლოდ ძალას უწევს ანგარიშს და შენც ახლა ეს ძალა გჭირდება!

მხოლოდ ძალას, სიყვარულისა და სიკეთის შარავანდლით შემოსილ ძალას ძალუძს, წინ აღუდგეს ბოროტებას.

„ბოროტების სიღარიბით დამარცხება“ - აი დიოგენეს მოძღვრება. დღისით, მზისით ადამიანის ძებნა ჭრაქის შუქზე - აი მისი ფილოსოფია.

დიოგენე თავისუფალი ქალაქის თავისუფლებით გამაძლარი მოქალაქე იყო, ამიტომაც მისი მალაღ გონება მაღალი მატრიონის სამსახურში ჩადგა. ეს წყარო მტრის ნისქილეზე ასხამს წყალს და ჩვენთვის გამოუსადეგარია. მაკედონელიც მისი აზროვნების სისხარტით მოიხიბლა და არა მისი მოძღვრების ცხოვრებაში გამოყენების ვარგისიანობით. კარგად ხედავდა დიდი ალექსანდრე, რომ ქვეყნისთვის ერთი დიოგენე კარგია და ასატანი, ათი - დამლუპველი!

მიირიღატი - (პაუზის შემდეგ) მე ყოველთვის ვიცოდი, რომ შენი სახით ჩემს გვერდით დღედაღამ ცას ედრებითა და ბუბუბუტით შემეყურე ქურუმი კი არა, სამშობლოსთვის მებრძოლი გმირი იყო!

მურში - ყველაფერს თავისი დრო და ალაგი აქვს, მეფეო! მხოლოდ უფლის ნებით მონიჭებულ თავისუფლებას ადამიანები ადვილად ართმევენ ერთმანეთს!

თუ გინდა, იყო თავისუფალი - იბრძოლე თავისუფლებისთვის!

მიირიღატი - შენ რაღას მეტყვი, ჩემო კახაბერ! ჩემო იბერიელო ძმადნაფიცო და ჩემო აჩრდილივით უღალატო ორეულო?! თქვენ ორნი ხართ ჩემი ცხოვრების განუყრელი და განუყოფელი ნაწილი. მითხარი, რას ფიქრობ, რა ხდება ჩვენს თავს?

პაბაბერი - მდგომარეობა საგანგაშოა, მეფეო! უარესს პომეროსი და ესქილე ერთად ვერ მოიფ-

იქრებდნენ: ტყესავით შემოეწყვენ ციხე-კოშკის შემოგარენს! აშკარად წლების განმავლობაში გათვლილი შემოსევაა.

მიტრილატი – რა არის, რაო, სამყარო ამიჯანყდა?!

ქახაბერი – სამყარო არა, რომი!..

მიტრილატი – რომი!..

რომი თავისი დაბადების დღიდან იბრძვის და ჩემი დაბადების დღიდან მებრძვის! მის ხრიკებს არა აქვს დასასრული...

ომი რომის ცხოვრების წესია და მას სხვაგვარად არსებობა არ შეუძლია. ამისთვის შეიქმნა მან უძლველობის მითი. ვინ-ვინ და, ჩვენ კარგად ვიცით, რამდენად დასაჯერებელია ეს ზღაპარი – რამდენჯერ გვინახავს თუ როგორ გარბის ბრძოლის ველიდან მისი უძლველობა. უკანასკნელ წლებში ორჯერ შევაჩყიეთ რომაელთა სიძლიერე. ისეთი დიდი მხედართმთავრები, როგორებიცაა სულა და მარიუსი, უკუვაქციეთ. ამას რომი არასოდეს არ დაივიწყებს!

ტყუილად კი არ გამომაცხადა სენატმა რომის უპირველეს მტრად! *(ირონიული ლიმილით)* ასეთი პატივი სხვას არავის რგებია!

იქნებ სპარტაკს?! სპარტაკმა ხომ გრიგალივით გადაურა მთელ აპენინს. მართალია, მისი საქმე მკვდრადშობილად მოველინა ქვეყანას, ის მაინც რომისთვის დიდი მიწისძვრა იყო. უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა რომს სპარტაკის დასამარცხებლად.

მეფეთაგან მე, მითრიდატე ევპატორმა, და მონათაგან სპარტაკმა დავასამარეთ მითი რომის უძლველობის შესახებ!

შურში – რომის უძლველობის შესახებ მითის დასამარება თვითონ მითია. თვალმისანვლომი მსოფლიოს ყველა კუთხეში უამრავ და უამრავ ერს რომის ხსენებაც კი თავზარას სცემს და მუხლს უძაბუნებს.

მიტრილატი – არც მუხლისა და არც სულის ძაბუნი არ შემპარვია არასოდეს არც ერთი მტრის წინაშე. თუმცა ის ყოველთვის ვიცოდი და მახსოვდა, რომ რომი განსაკუთრებული მტერია. რომის-დარი მეომარი დღემდის დედამიწას არ უნახავს, მაგრამ, რადგანაც ჩვენს თაობას ხვდა წილად მასთან ბრძოლის ტვირთი, ღირსეულად უნდა ვზიდიოთ ის. – ჩვენ უნდა ვებრძოლოთ რომს!

შურში – *(ზაფიერებულმა)* აშკარაა, რომ სამყაროს მოველინა ქალაქი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს, მისგან მიიღოს ყველაფერი, რასაც მოისურვებს.

მის წესრიგში და ყოვლისმომცველ წყობითობაშია მისი განსაკუთრებულობა.

წესრიგი ყველგან და ყველაფერში! არც ვაჟკაცობა და არც გამბედაობა არასოდეს ჰკლებია რომაელს. ჭკუა-გონება და სწავლისადმი ღტოლვაც მას ყოველთვის მისაბაძი ჰქონდა, ამას დაუმატე სისასტიკე და გაუმადლობა სხვისი სიმდიდრითა და მიწა-წყლით. ამ ძუ მგლის გაზრდილებს მგლური მადა აქვთ – ყველაფერს ნთქავენ, რაც კაცობრიობას შეუქმნია. მთელი მსოფლიოს ნივთიერი თუ სულიერი მონაგარი რომაელთა კანონიერ საკუთრებად მიაჩნიათ. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რომის სენატმა ასე დააკანონა.

ასეთია წესი და კანონი რომაულად!

მიტრილატი – კანონი?!

რომელი წესისა და კანონის მიხედვით მოაკვლევინეს დედაჩემს მამაჩემი?!

მე რომელი წესისა და კანონის მიხედვით ამიმხედრეს ჯერ დედა, მერე ცოლი და მერე შვილები ერთმანეთის მიყოლებით?!

რომელი სამართალი ითვალისწინებს, გახადოს მამა იძულებული, საკუთარი ხელით გამოსჭრას ყელი შვილებს?!

მოსყიდვა, გადაბირება, ჭორები, ინტრიგები...

რომიდან მოდის ყველა უბედურება! რომში დგას პანდორას ყუთი! რომი უნდა დაინგრეს და აღიგავოს პირისაგან მიწისა!

(მიუბრუნდება კახაბერს)

რატომ იგვიანებენ შიკრიკები ტიგრან მეფისგან?

პბბბბბბ – გამოენიისას მოვიდნენ, მეფეო. შეხვედრაც მოვასწარი. უნდა გხლებოდით დილით, მაგრამ ეს არუელობაც დანიყო... *(პაუზა)*. სასიკეთოს ვერაფერს გამცნობთ. მართალი გითხრათ, არც ველოდი, მეფეო! პირობა არის და არც არის. სანდო წყაროდან ვიცი, არ ჩაერევიან ბრძოლაში, სანამ არ დარწმუნდებიან, რომ ვიმარჯვებთ. ერთი კია, არც თავად ტიგრანს ულხინს... სომხეთშიც რთული ვითარებაა.

მითრიღატბ – რა მოხდა ასეთი?!

პბბბბბბ – ის მოხდა, რაც აქ ხდება, და იქაც რომის ხელით! უფროსი შვილი ზარიადრე აუჯანყდა ტიგრანს, თქვენი შვილიშვილი... მსტოვარი გვატყობინებს, რომაელთა ჩაგონებით თურმე ჩვენ გვაბრალეებს ტიგრანი ამ ჯანყის მოწყობას.

მითრიღატბ – რამ დააბრმავა ან ერთი, ან მეორე... ნუთუ ვერ ხედავენ რომაულ ხრიკებს?!

პბბბბბბ – პირიქით, იმასაც ამბობენ, მეფეო, ტიგრანმა უკვე გადადგა სათანადო ნაბიჯებით. პომპეუსს დიდძალი ჯარით შეხვდა და, ბრძოლა კი არ გაუმართა, როგორც სიტყვა გვექონდა, არამედ ბანაკში ქვეითად, თავმისეული ეახლა საჩუქრებით... ტახტის გადაარჩენა სურს რომაელთა შემწეობით!

მითრიღატბ – პომპეუსის სიყვარული მოსძალეობია საცოდავ ტიგრანს!

პბბბბბბ – გაეკადნიერდები და გეტყვით, მეფეო, ტიგრან მეფის ხელობაც ეგ არის! მის ტახტს ყოველთვის სამი ფეხი ჰქონდა – ერთი რომისა, ერთი პონტოსი და ერთიც პართიის.

მითრიღატბ – ტიგრანი ჭკვიანი და გამოცდილი მეფეა! ნუთუ ვერ ხედავთ, რომი პართიას რომ აქეზებს მის წინააღმდეგე? ნუთუ არ იცის, რომ, მე თუ რომმაც კისერი მომიგრისა, მისი სომხეთი რომსა და პართიას შორის ბრძოლის ასაპარეზად იქცევა?!

პბბბბბბ – იცის, მაგრამ მაინც ასე არჩევს. ალბათ, სერტორიუსთან ჩვენი კავშირები უფრო ამინებს. კოლხეთის, კაპადოკიის, ბითინიის, გალატიის დათმობას ვერ ურიგდება. ტიგრანს პონტოსი სიძლიერეს რომის უღელი ურჩევნია.

სომხეთი ისევე ზღვაზე გასასვლელზე ოცნებობს, მეფეო. ეს მისი მარადიული ოცნებაა.

ეგეც არ იყოს, პომპეუსისთვის უთქვამს, სანამ მითრიდატე ცოცხალია, აღმოსავლეთში სიმშვიდე არ იქნებაო!

მითრიღატბ – *(დგება, ნერვულად მიმოღის)*. რამდენჯერ გატეხა სიტყვა!!!

პბბბბბბ – ასეა, მეფეო, უბრძანებია, ვინც მითრიდატეს შეიპყრობს – ასი ტალანტიო!

მითრიღატბ – *(აღშფოთებით)* ასი ტალანტიო?! ამაშიაც წუნურაქია ჩემი სიძე! მან ან არასოდეს იცოდა, ან ყოველთვის განზრახ ცდილობდა, დაემდაბლებინა ჩემი ფასი!

აბა, რომაელებს ჰკითხოს, რა ღირს მითრიდატე დიდი!

რომმა კარგად იცის მითრიდატეს ფასი!

(პაუზა).

ჩემი მომავალი სიძეებისგან რა ისმის?

პბბბბბბ – პართიის მეფე არსაკი ორჭოფობს – გადაჭრით ვერც მოქმედებს და ვერც გვაუსუბობს. მან მშვენიერად იცის, რომ, თუ რომი პონტოსსა და სომხეთს სძლევს და კავკასიონის ქედს გააკონტროლებს, ამით წრდლოლ მომთაბარეთაგან თავს დაიზღვევს და პართიის ჯეროც დადგება, მაგრამ...

ისე, თავისი საჭურისი მექისისთვის უთქვამს, ტიგრანთან ომს ვარჩევ მასთან ერთად რომთან ომსო!

მითრიღატბ – აქაც რომის ხელია!

(პაუზა).

პტოლემე რას ამბობს, რა ისმის ეგვიპტიდან?

პბბბბბბ – არსაკთან არის შეკრული! ფარაონის საკადრისი ორზროვნებით გვაუსუბობს – ომისთვის მზად ვარ, პონტოსს სამეფო კარზე ინტრიგები საშიში და საზიანო რომ აღარ იქნება დიდი მეფისა და მამა-ბატონისთვისო!

მითრიღატბ – მაგის იმედი არასოდეს მქონია! *(მიმოღის, ფიქრობს)*. სხვის შვილებს რას ვემდური, ჩემებმა ვერ მიერთგულეს?!!

(ტყუობა, გადანყვეტილება მიიღო. ყვირის)

კახაბერე!!!

ქახაბერი – გისმენო, მეფეო!

მითრილატი – მორჩა! მე თვითონ ნაფართმევე ჩემს მიერვე ნაჩუქარ სიცოცხლეს! დიდი ხანია, ვამჩნევდი, რომაული გველცოფა რომ შეეყარა!

ქახაბერი – ვგრძნობდი, რომ ამჩნევდი, მეფეო! მაგრამ იმასაც ვხედავდი, როგორ გიჭირდა უკანასკნელი მემკვიდრის განიოვა.

მითრილატი – მიჭირდა! მიჭირდა, მაგრამ, ეტყობა, ეს ყოფილა ჩემი ხედერი!

რა წერამ აიტანა, რატომ გამწირა მე, მშობელი მამა, და რატომ გამოუტანა თავის თავს განაჩენი?! მიდი და დაამგ ზავერე თავისი ძმების გზას! მიდი, ახლავე შეასრულე, ახლავეეე!

ქახაბერი – არასოდეს დამიტოვებია შეუსრულებელი შენი ბრძანება, ჩემო მეფეო!

(გადის რამდენიმე მეომართან ერთად).

მითრილატი – *(თავი მარტო ჰგონია).*

(მონოლოგი)

უფალო ღმერთო, წყუღიმც იყოს, ვინც ინატროს მეფობა ქვეყნად...

უფალო ღმერთო, წყუღიმც იყოს, ვინც მეფობაში დაიგულოს ბედნიერება! მე გავაუბედურე ყველა, ვინც მიყვარდა, და გავაბედნიერე ყველა, ვისაც ვძულდი! ხშირად იმ მტრებსაც კი ვჩუქნიდი სიცოცხლეს, ვინც ჩემ მოყვარეს მოუხსნა ნუთისოფელი, და ეს იმიტომ, რომ მეფე ვიყავი და სამეფოს ასე ნაადგებოდა; მაგრამ მე ვერ შევუნარჩუნე სიცოცხლე დედას და ცოლ-შვილს და ესეც იმიტომ, რომ სამეფო საქმეს ასე სჭირდებოდა!

რისთვის მინდოდა, უფალო, ეს სიცოცხლე, თუ მეფობას დამაბედებდი და ადამიანობას ამიკრძალავდი?!

ადამიანობა!!

ადამიანი!!

უფალო, დარწმუნებული ხარ, რომ გაამართლა შენმა ჩანაფიქრმა?!

დარწმუნებული ხარ, რომ ის შექმენი, რასაც აპირებდი?!

(შეცბება ქურუმის ხმაზე).

შურში – *(შეაცრად)* უფალს ნუ სცოდავ!! *(პაუზა).*

ჩინეთის ქვეყნის დედაქალაქში ერთი სულელი ცხოვრობდა თურმე. დარბოდა ეს სულელი და ეკითხებოდა გამველ-გამომვლელს: „მეფობა გინდა? მეფობა გინდა?“ „მინდა! მინდა!“ – სიცოლით პასუხობდა ყველა. ერთიც მივიდა სულელი განმარტოებით მეჯღმე მარტოსულთან და ჰკითხა: „მეფობა გინდა?“ „არა, არ მინდა!“ – უპასუხა კაცმა. „რატომ?“ – გაიკვირვა სულელმა. „იმიტომ, რომ ვიყავი მეფე“ – იყო პასუხი. გაუკვირდათ ქალაქელებს, არ გაჰკვირებია სულელს. და მიხვდა მარტოსული, რომ მის წინაშე სულელის სახით მოქმედი მეფე იდგა...

მითრილატი – შენ აქ ყოფილხარ, ბერიკაცო, ვერ შეგამჩნიე!

(პაუზა).

„მეფეს არა ხამს სიყვარულით თავდავინებება!“ – დღემდის ცოდვის ზარივით ჩამესმის შენს მიერ უფლისციხეში შთაგონებული ეს სიტყვები! ამ სიტყვებით დამთავრდა ჩემი ყრმობა და დინყოფი მეფის ცხოვრება, ცხოვრება, რომელიც გამორიცხავს ადამიანურ ბედნიერებას! ნუნუ ხომ გახსოვს, ჩემი პირველი სიყვარული, მშობელი დედა მახარესი, ჩემი პირმშოსი! ჩვენი განშორება, რომელიც შეიქმნა მიზეზად მისი თვითმკვლელობისა, იქცა ჩემი ცხოვრების ტრაგედიის დასაწყისად. სწორედ წლისთავზე გამომეცხადა, როდესაც უკვე მეფე ვიყავ დიდი პონტოსი. უსიყვარულო, უსიხარულო დიდება შენი ხედერიო, ასე მაუწყა სიზმარში და გაუჩინარდა... დედის თვითმკვლელობა ვერასოდეს ვერ მაპატია ჩემმა მახარემო.. არა, მას არ უღალატია ჩემთვის!.. მანაც დედასავით თვითმკვლელობით დამიმტყიცა თავისი დიდი სიყვარული! განა მამაშვილური ერთგულების უღიადესი გამოხატვა არ არის, მამას შენი ერთადერთი ძე გაუგზავნო შენს სანაცვლოდ.

სად არის ჩემი იმედო, ჩემი ლომის ბოკვერი? სად არის, რატომ არ ებლანდება პაპას ფეხებში?..
ბავშუს მიმიხედე, ქურუმო! (პაუზა).

ჩემი მახარე... სად არის ჩემი მახარე, ჩემი მზეჭაბუკი...
სხვას ვის შეუძლია მამაშვილური გრძნობის ასე გამოხატვა!! აი, როგორი მამაშვილობა ვიცით
ჩვენს!.. (პაუზა).

მას შემდეგ სისხლი და ცრემლი ტრიალებს ჩემს ირგვლივ...
ძურაში - არა ღირს ეს ნუთისოფელი საყვარელი ადამიანების ცრემლად და სისხლად!.. (პაუ-
ზა). მაგრამ გარემოების ტყვედ იბადება ადამიანი. მაშინაც კი, როცა გეჩვენება, რომ თავად ვმარ-
თავთ ირგვლივ ყველაფერს, სინამდვილეში ჩვენ თვითონ ვიმართებთ გარემოებისგან! ჩვენ კი არ
ვმოქმედებთ მოვლენებზე, მოვლენები მოქმედებენ ჩვენზე! ყოველგვარი რაობა მოჩვენებითია,
არარაობაა!!

(შემორბის მსახური. აღელვებული, ხმის კანკალით)
მსახური! - შემინდე შენს უღირს მონას, მზრძანებულო! საშინელი ამბავი მოგიტანეთ!
თქვენმა ქალიშვილებმა... თქვენმა ქალიშვილებმა თავი მოიწამლეს!..
აი ეს... წერილი...

(მითრიდატე თავზარდაცემულია, წერილს კითხულობს).
მითრიდატე - ჩემი საპატარძლოდ გამზადებული გოგონები!
ჩემი ნისა! ჩემი მითრიდატასი!
რატომ, შვილებო, რატომ?!
რა დააშავეთ?!
რა დავაშავეთ?!

მე კი მეგონა, თქვენმა უღირსმა ძმამ თავის ზეიმზე მიგიაპტიჟათ, თქვენ კი თურმე მამის ტან-
ჯვით იტანჯებით, შვილებო!! თქვენ კი თურმე ბოლომდის უერთგულეთ თქვენს ყველასგან გან-
წირულ მამას!!

(ქვითინით) რომელმა გულცივმა სამსხვერპლომ შეინირა თქვენი უმანკო სიცოცხლე, ჩემო
ფერიებო!

იცის თქვენმა მამამ ამ გაუმაძღარი გველეშაპის სახელი - მას ეს დანყველილი ნუთისოფელი ჰქვია!!
თქვენი სითბო და სილამაზე როგორ უხდებოდა მამის სიბერეს, ჩემო მტრედებო!..

(შემორბის ციხისთავი).
ციხისთავი - კახაბერი მოკლეს, დიდო მეფეო!
კახაბერი მოკლეს!

(მითრიდატე თავზარდაცემულია... მიდის სარკმელთან და იხედება).
მითრიდატე - (მონოლოგი)
ყორნები დაბლა დაფრინავენ...

უტყუარი ალლო აქეთ!
გმადლობთ, ყორნებო, რომ გაგახსენდით...

თქვენ მაინც უნდა იყოთ მადლობელნი - ჩემი გაუთავებელი ომების წყალობით ლეში ხომ ყო-
ველთვის საკმარისი გქონდათ?! სიტყვას გაძლევთ, არც ჩემს შემდეგ გამოგვლევთ ლეში, ყორნებო!
(პაუზა, მიიხედ-მოიხედავს, ვერავის შეამჩნევს).

ჩემი ცხოვრება სევდიანი მონოლოგია მარტოსული და უბედური მეფე-კაცისა!
ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული...

მე გაშჩენმა მეფობასთან ერთად უღირსი მოლაღატეებითა და ღირსეული მტრებითაც უხვად
დამაჯილდოვა! - იქნებ თუნდაც ეს უნდა მიმეჩნია ბედნიერების საფუძვლად? ძლიერ ადამიანს უნდა
ძალუდდეს, უდიდეს უბედურებაშიც პოვოს შვევა, მაგრამ საიდან ამდენი ძალა?

რა უსუსური არსებები ვართ ადამიანები!!
(ფიქრობს, მიმოიხილს, ეტყობა, რომ მასში ერთმანეთს ებრძვის სხვადასხვა აზრები და გად-
ანყვეტილებები).

ო, ღმერთო ჩემო, ნუთუ ამდენი უბედურება აუცილებელია კაცის გამოსაცდელად?!

ნუთუ დაბადებულა ადამიანი, ვისაც ამდენი უბედურებისა და ცოდვის ერთად ზიდავ შეუძლია ისე, რომ არ შესჩივლოს არც ღმერთს, არც კაცს და თანაც იმეფოს! იმეფოს და არც თავისი ცრემლი დაანახვოს სხვას და არც სხვისი ცრემლი მიიტანოს გულთან!

ნუთუ შეიძლება მეფემ, მხოლოდ იმიტომ, რომ უსაფრთხოყოს სამეფო ტახტი და გვირგვინი, სიცოცხლეს გამოასალმოს მთელი თავისი ოჯახი, – საკუთარი სისხლი და ხორცი!!

ო, წინაპართა დიადო სულემო, მომეცით ძალა, გაუშეკლავდე ამა სანუთროს არარობას!!

უფალო ღმერთო! რისთვის მიბოძე ეს სიცოცხლე, თუ ის ჯოჯოხეთად უნდა ქცეულიყო?!

ვის სურს დიდება, მოპოვებული ამ მსხვერპლის ფასად?!

(ვაიმართება. ეტყობა, რომ ვადანყვეტილება მიიღო).

ღირსეულ სიცოცხლეს ღირსეული სიკვდილი შეენის!!

(იღებს თასს, დოქიდან ჩამოსახამს ღვინოს და შიგ ყრის სანამლაგს. სვამს...).

პატიებას გთხოვთ ყველას, ვისაც მე ერთხელ ვერ გაპატიეთ.

(აფორიატებული მიმოდის. გრძობს, რომ შხამი ვერ ერევა...).

(პაუზა).

ქვად ვიქცი! რვალი და წიდა გაეხდი! ეს სანამლაგი რას მომერევა, მთელი ცხოვრება წამლადა ვსვამდი!

(მნარე ირონიით)

მე შევქელი და უვნებელეყავი ნუთისოფლის ყველა შხამი, – ღალატის გარდა!

(ვაცოფებული სცემს ბოლთას... დარბაზის კართან დაინახავს ციხისთავს).

მეომარო! *(ციხისთავი უახლოვდება).* შენ ვინა ხარ?

ცინისტაპი – ციხისთავი გახლავართ, მეფევ ბატონო! ქურუმმა გამომგზავნა...

მითირიდატი – ქურუმმა?!

ცინისტაპი – დიად, მეფეო, პატარა უფლისწული გავაპარეთ უკანასკნელი მალული ხერხლით, სხვა ყველა უკვე დაკავებული იყო. *(შეატყო რა მეფეს ფრიადი ინტერესი)* ზღვით წავიდნენ, მეფეო, ზურგის ქარი იყო, არავინაა მათი დამწვეი. უკვე სამშვიდობოს იქნებია.

მითირიდატი – იმედი?! ჩემი პატარა იმედი?! ის ხომ სულ ახლახანს აქ იყო, ჩემს საძინებელში ეძინა?!

(თბილი ღიმილით შეხედავს ციხისთავს... ჩაფიქრდება).

არანაირ განსაცდელსა და უბედურებას არ ძალუძს, დააკარგინოს დიდ ქურუმს უნარი განსჯისა.

რა საოცრებაა!! ეს ბერიკაცი ყოველთვის ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას იღებს! მხოლოდ დიდ, დიად სულს შეუძლია, მისცეს ადამიანს ამდენი ძალა. ხორციელი ძალა აქ, ალბათ, უძლურია.

(ისევ ბოლთას სცემს, ისევ გამოსავლის ძებნაში).

შენ რა გქვია, ციხისთავო?!

ცინისტაპი – გიგია ვარ, მეფეო, ალაზნელი, ველისციხიდან!..

მითირიდატი – გიგია?... ველისციხიდან?..

(წამით ჩაფიქრდება,)

საერში მზე იბერიიდან ამოდის!..

შორს არის ველისციხე, შორს!..

ვერ ავახდინე, გიგია, ჩვენი მამა-პაპის ოცნება – ვერ გავაერთიანე იბერთა გვარ-ტომი სინოპიდან ველისციხემდე... ვერ ვაჩვენე სამყაროს ერთიანი და გაბრწყინებული ივერია... ვერ შევქელი, გიგია, მაპატიე!

ცინისტაპი – რას ბრძანებთ, დიდო მეფეო!

მითირიდატი – ერთი სამსახური მინდა გთხოვო, ჩემო მეგობარო, უკანასკნელი სამსახური...!

ცინისტაპი – მიბრძანეთ, დიდო მეფეო!

მითრილატი – დიდად დამაველებ, გიგია, თუ აი ამ... გიგია, აი ამ ხალიბური სატყვით სიცოცხლეს უნდა გამომასალო!

ციხისთავი – რას ბრძანებთ, მეფეო! *(უკან დაიხევის).*

მითრილატი – რას გბრძანებ და, თუ ჩემს თხოვნას არ შეასრულებ, შენს ღირსებაყრილ მეფეს რომში ტროუმფალური სვლით გაატარებენ, როგორც მაიმუნს ან როგორც ტყვეს, მონას და მაშინ... მაშინ, რისთვისაც ჩვენ გვიცხოვრია და გვიბრძოლია, ყველაფერი უაზრობად გადაიქცევა.

ციხისთავი – ვერა, მეფეო, ამას ვერ ვიზამ! მე მიჩვენია, ციხიდან თავით გადავეშვა და ქვესკნელში შემოგებებო შენი ერთგული მსახური! *(კიდევ უკან იხევის შემინებული).*

მითრილატი – ...და თუ ეს მეფის ბრძანებაა!

ციხისთავი – მაპატიე, დილო მეფეო!.. მე მეომარი ვარ და არა მკვლელი.

(უკან მიდის, გარბის და სარკმლიდან ხტება. გარედან ისევ ბრბოს ხმაური და ყოინა ისმის).

მითრილატი – მეფის ციხისთავი მეფეზე დიდი ვაჟკაცი აღმოჩნდა!

(სარკმლისკენ, შემომავალი ხმაურის მიმართულებით)

შეხედეთ, ლაჩრებო, შეხედეთ, როგორი შვილი უნდა ჰყავდეს მამას!

(ისევ პაუზა, ისევ გადანყვევტილების ძებნა... უცებ იბლავლებს).

სიკვდილიც სანატრელი გამიხდა?! აღარც სიცოცხლეს ვუნდივარ, აღარც სიკვდილს?! მეგონა, ადვილი იქნებოდა სიცოცხლის დაკარგვა და რა ძნელი ყოფილა სიკვდილის პოვნა?

საშინელებაა ნუთისოფელი, როცა ეძიებ და ვერ პოვებ!

(პაუზა).

ჩემი იმედი, ჩემი პატარა იმელო გადამირჩინე, ქურუმო!! ჩემი იმედი მიცოცხლე, იმედი არ მიკარგო, უფალო ღმერთო!

(სატევარს მკერდზე წვერით მიიბჯენს, გაიქცევა, მოპირდაპირე კედელს შეასკდება და განგმირული დაეცემა).

დასასრული

ცაყა